სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

400636286108 22

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220673838

რეგისტრაციის თარიღი

07.06.2022 წ

ნოტარიუსი: თამარ კომახიძე
მისამართი: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №5, კომერციული ფართი
ტელეფონი: 271-00-79

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდაორი წლის შვიდ ივნისს, მე ნოტარიუსს თამარ კობახიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მოსკოვის გამზ. #5 კომერციული ფართი, მომმართა ბატონმა **ლევან დევნოზაშვილმა,** რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს "**ლანს**"-ს (ს/კ **406319979**) დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, ამონაწერის მომზადების თარიღი: B21001958, 14/01/2021) და მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ლევან დევნოზაშვილმა** (დაბადებული 12.02.1975 წ., რეგისტრირებული მისამართზე თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის VII შეს. N 1 ბ. 39, პირადი N 15001000042) მომმართა. მე აგრეთვე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს, შემდეგ წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობაზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, მან განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **ლევან დევნოზაშვილი** (მონაცემები მითითებულია ზემოთ), როგორც შპს "**ლანს**"-ს (ს/კ **406319979**) დირექტორი, ბატონ **გიორგი ჯუმბურიძეს** (დაბადებული 05.02.1980 წ., პირადი N01030013137), ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

სრულად იმოქმედოს ნებისმიერ უძრავ ქონება(ებ)ზე არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად, მიიღოს ნებართვები, მათ შორის მშენებლობის ნებართვა, მიღოს სპეც. ნებართვები, აზომოს, გამიჯნოს, გააერთიანოს, დააკორექტიროს, მოახდინოს ცვლილების რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოში, მიიღოს ამონაწერები.

ამ მიზნით იყოს წარმომადგენელი საქართველოს იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მერიაში, გამგეობაში, საკრებულოში, მერიის მუნიციპალურ ინსპექციის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, ლეგალიზაციის კომისიაში, აღიარების კომისიაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში.

წარადგინოს განცხადებები, მოაწეროს ხელი საჭირო დოკუმენტებს, განაცხადოს თანხმობები, მიიღოს გადაწყვეტილებები, აწარმოოს სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები, შეათანხმოს პროექტები, გამოითხოვოს და მიიღოს დოკუმენტები, გადაავადოს ნებართვები, გადაიხადოს დადგენილი გადასახადები და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც საჭირო იქნება ზემოაღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით და ძალაშია 07.06.2023წ. ჩათვლით.

ეს მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს თამარ კობახიძის სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს. გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები"-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 10 (ათი) ლარი, 39 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად დღგ 1.80 ლარი.

ნოტარიუსი თამარ კობახიძე

საქართველო. ნოტარიუსი თამარ კობახიძე • 01024011220 • GEORGIA NOTARY TAMAR KOBAKHIDZE